LLC „Foreji 1“

Village qolobani, municipality abasha

identification code No: 222450764

Tel.: +995 599 15 14 73

E-mail: emiligvazava@gmail.com.

შ.პ.ს.„ფორეჯი I“

სოფ. ქოლობანი, აბაშა. საქართველო

ს.კ №222450764

ტელ +995 599 15 14 73

ელ. ფოსტა: emiligvazava@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო

გაცნობებთ, რომ შპს „ფორეჯი I" (ს/კ **222450764**), აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქოლობანსა და სოფ. გეზათში, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, რომელთაც ოდითგანვე გააჩნდათ ბუნებრივი ჩაღრმავება და რეგიონის კლიმატური პირობებიდან გამომიდინარე პერიოდულად იტბორება, სატბორე მეურნეობის მოწყობას.

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-II დანართის, პირველი პუნქტის, **1.6** ქვეპუნქტის შესაბამისად, სკრინინგის ანგარიშის მომზადებას და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენას ექვემდებარება წელიწადში **40** ტონაზე მეტი წარმადობის თევზსაშენი მეურნეობის მოწყობა. შპს „ფორეჯი I"-ის მიერ დაგეგმილი თევზსაშენი მეურნეობა ითვალისიწინებს წელიწადში მხოლოდ **6-7** ტონა თევზის მოშენებას, რომლისთვისაც გამოყენებული იქნება **154** ჰა მიწის ფართობი.

საქართველოს კანონის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პირველი დანართის **21**-ე პუნქტის შესაბამისად, სკოპინგის პროცედურას ექვემდებარება „კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და

№ 19603
"15" 12 2020
2 ფ.

ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა **50 000** მ3-ზე მეტია.

ვინაიდან **154** ჰა მიწის ფართობზე შეკავებული წყლის მოცულობა აღემატება **50 000**მ3-ს, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-**8** მუხლის შესაბამისად, განსახილველად და შესაბამისი სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით წარმოგიდგენთ შპს ,,ფორეჯი I"-ს სკოპინგის ანგარიშს.

დანართი - სკოპინგის ანგარიში, ელექტრონულ ვერსიასთან და შეიპ ფაილებთან ერთად.

პატივისცემით

ემილი გვაზავა

შპს ,,ფორეჯი I"-ს დირექტორი